პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ივლისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 135 (9546) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მზადებისა და ჩატარების რესპუბლიკური შტაბის სხდომა.

თამაშების ძირითად შეჯიბრებათა მოახლოებასთან დაკავშირებით სხდომაზე მოისმინეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადებისა და თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობის შტაბების ანგარიში. ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ გ. თალაკვაძემ და რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. შუბლაძემ. მოისმინეს აგრეთვე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები თამაშების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისთვის გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომაზე რესპუბლიკის სპორტსახკომს, სამინისტროებსა და უწყებებს, ცალკეულ ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადეს იმ დიდი მუშაობისათვის, რაც მათ გასწიეს თამაშების ჩატარებისათვის მომზადების პერიოდში.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის შედეგები შეაჯამა ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ოქროს მედალი სსრ კავშირის ჩემპიონატიდან



როგორც ვიუწყებოდით, კიევში ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში, რომელშიც ათი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ამ შეჯიბრებისადმი გაძლიერებულ ინტერესს იჩენდა ყველა — სპეციალისტებიც, სპორტსმენებიცა და მაყურებლებიც. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ სინქრონული ცურვის ოსტატები ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებიან და კიევის ტურნირი ძალთა გენერალურ შემოწმებას წარმოადგენდა.

შაბათს გამოვლინდნენ ოქროს მედალოსნები წყვილთა პროგრამაში, აქ ყველას აჯობეს და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი დაიმსახურეს 17 წლის თბილისელმა ქრისტინა ფალასანიდიმ და 20 წლის ლენინგრადელმა ელენე დოლეენკომ. გამარჯვებული დუეტის შედეგია 181,61 ქულა.

კვირას დამთავრდა შეჯიბრება. პროგრამის უკანასკნელი სახეობა ჯგუფური ვარჯიშები იყო. აქ ყველას სსრ კავშირის ნაკრების წარმომადგენლებმა აჯობეს — 182,50 ქულა.

დღეს ტანმოვარჯიშეები იწყებენ

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, ჩვენი რესპუბლიკა მასპინძლობს. ამ სამი კვირის წინათ სტარტზე პირველნი გამოვიდნენ ნორჩი წყალბურთელები (ეს ასპარეზობა თბილისში გაიმართა), დღეს კი ბათუმში შეჯიბრებაში ჩაებმებიან სპორტული ტანვარჯიშის წარმომადგენლები. თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში შეჯიბრებები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩაბარებით იწყება. ტანმოვარჯიშეებიც ნორმატივებს დღეს ჩააბარებენ, ხვალ კი ძირითადი პროგრამით ისპარეზებენ.

ნანა ასრათაშვილი მეორეა

კვირას მინსკში დამთავრდა ძიუდოისტ ქალთა საკავშირო პირველობა, 48 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი თბილისელმა ნანა ასრათაშვილმა („შროშითი რეზერვები“) მოიპოვა.

უნივერსიადის მკვატორი

ზაგრები. სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის მონაწილეებს ჯერ ნახევარი დისტანციაც არ გაუვლიათ, ჟურნალისტები კი ყველაზე პოპულარულ სპორტსმენებს უკვე ასახელებენ. ერთ-ერთი მათგანია ლენინგრადელი ტანმოვარჯიშე ელენე შუშუნოვა, რომელმაც აბსოლუტური ჩემპიონის სახელს ოქროს ოთხი მედალი დაუმატა ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშისთვის, და კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო გუნდური გამარჯვებისთვის.

ნიჩბოსანთა შეჯიბრების ბოლო დღეს ძირითადი ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სპორტსმენებს შორის სწარმოებდა და ჯილდოებიც ამ ქვეყნის სპორტსმენებმა გაინაწილეს.

გრძელდება მოცურავეთა შეჯიბრებები. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ყველას ავსტრალიელმა რობერტ ვუდჰაუზმა აჯობა — 4.22,90. ქალთა შორის ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ბელგიელმა ინგრიდ ლემპერერმა გაიმარჯვა — 2.31,09.

რაპირისტ ქალთა ტურნირში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: იტალია, ჩინეთი, სსრ კავშირი.

პირველ მატჩში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ძლიერად ითამაშა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ძირითადად ვილნიუსის „ჟალგირისის“ ბაზაზეა დაფუძნებული.

საბჭოთა სტუდენტმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:1 (3:0) დაამარცხეს ურუგვაის გუნდი და ნახევარფინალში გავიდნენ. გათამაშების ამავე ეტაპზე გავიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები, რომლებმაც ანგარიშით 7:0 მოუგეს ჰოლანდიელებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდმა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები დაამარცხა — 1:0, სამხრეთ კორეამ კი იაპონელები — 3:0.

საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციას ჯერ-ჯერობით ჯილდოების სარეკორდო რაოდენობა აქვს მიღებული: 15 ოქროს, 15 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი. მეორე ადგილზე რუმინეთის სპორტსმენები არიან: 11 ოქროს, 9 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე წლევანდელი საფეხბურთო მატჩების ტაიმებს შორის საქართველოს ტელევიზიის პრიზზე გამართული მძლეოსანთა შეჯიბრებები გვამხელს და ბრალს გვდებს. „სპორტის დედოფალს“ ადგილებზე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ეს მაშინ, როცა სპორტის ეს სახეობა ყველგანაა დანერგილი, გახსნილია ჯგუფები, მუშაობენ მწვრთნელები, გამოუყენებელი რჩება რეზერვები და შესაძლებლობები.

იხ. მე-2 გვ.

ამერიკელი ჭაბუკები თბილისში

„სპორტი ურთიერთგაგებისთვის“ — ასეთია დევიზი საერთაშორისო მოძრაობისა, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა არსებობს. ამ მოძრაობის პროგრამით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ნორჩ კალათბურთელთა დელეგაცია. ამერიკის ექვსი შტატის საუნალო სკოლების მოსწავლეებმა ოთხი დღე დაჰყვეს მოსკოვში, სადაც ჩაატარეს ორი ამხანაგური შეხვედრა თავიანთ თანატოლებთან. გუშინ მათ პირველი მატჩი გამართეს თბილისში.

— როცა გაზეთში წავიკითხე, რომ საბჭოთა კავშირში ტურნეს მოსაწყობად იქმნება ნაკრები გუნდი, უყოყმანოდ გადავწყვიტე გამომეცადა ჩემი თავი, — გვიამბობს 17 წლის ნიუიორკელი **ქრის ებრემსი.** — სულ გუნდში მოხვედრის მსურველთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. ამ ბიჭების უმრავლესობა თავიანთი სკოლების გუნდებში გამოდის. მიუხედავად ამისა, ძირითად შემადგენლობაში მოხვდა ოთხი კალათბურთელი ეზოს გუნდებიდან. სტივ უენდელი კი კათოლიკური ეკლესიის კლუბის ღირსებას იცავს. შერჩევა მკაცრი გამოდგა: საჭირო იყო ჩვენი მწვრთნელებისაგან ორ-ორი რეკომენდაციის წარდგენა და გამოცდის ჩაბარება. ასე შეგვარჩიეს 16 კაცი. მანამდე ჩვენ არასოდეს შეგხვედრივართ ერთმანეთს არც ცხოვრებაში, არც სპორტულ სარბიელზე. ნიუ-იორკში, აქ გამომგზავრების წინ მხოლოდ ორი ვარჯიშის ჩატარება მოვასწარით. ამის გამო ვერ მოვახერხეთ სათანადოდ მომზადება, კალათბურთელთა შეთამაშება. ამიტომაც წავაგეთ ორივე შეხვედრა მოსკოვში. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თბილისში უკეთესად ვითამაშებთ.

— მწვრთნელებსაც მოგვიხდა კონკურენციის დაძლევა, — ამბობენ გუნდის მწვრთნელები **მაიკლ ო' ნილი** და **ჯონ კრასი,** — ამ მოძრაობის მონაწილე 40 მწვრთნელი 600 მსურველში შეირჩა. შერჩევის დროს ყურადღება ექცეოდა ყველაფერს: ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებასაც, სათამაშო და საწვრთნელ მუშაობის სტაჟსაც, მაგრამ მთავარი პირობაა ის, რომ მწვრთნელს კარგად ესმოდეს „სპორტი — ურთიერთგაგების“ მოძრაობის აზრი. ჩვენი შეხვედრა ხომ უბრალო კალათბურთის თამაშზე გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს — ეს არის აზრების ურთიერთგაცვლა, ეს არის მეგობრობა.

თბილისში 10 დღის განმავლობაში 16-18 წლის ჭაბუკთა სხვადასხვა გუნდთან ექვს მატჩს გავმართავთ. მინდა გავიმეორო: ჩვენი ბიჭები გამარჯვებაზე მეტად თავიანთ საბჭოთა თანატოლებთან დამეგობრებაზე ოცნებობენ. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა.



გუშინ გაიმართა ქართველ და ამერიკელ ჭაბუკ კალათბურთელთა პირველი მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 93:85 (48:39).

• • •

სურათებზე: ამერიკელ ჭაბუკ კალათბურთელთა მწვრთნელი მაიკლ ო' ნილი; სტუმრები ეცნობიან თბილისს.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

3. არზამასცევი ქუთაისის „ტორპედოს“ კონსულტანტი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინა ქუთაისის სპორტული საზოგადოებრიობისა და ადგილობრივი „ტორპედოს“ კოლექტივის სურვილები და ავტოქარხნელთა გუნდის კონსულტანტად მიავლინა ვენიამინ ვლადიმერის ძე არზამასცევი.

ვ. არზამასცევი სპორტის ოსტატია, ბელორუსიის სსრ ღამსახურებული მწვრთნელი, 1984-1986 წლებში იგი მინსკის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად მუშაობდა.



თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დამთავრდა წყალბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის II ტურის მატჩები. სურათზე: სარბიელზე არიან თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ანგარიში იხ. მე-4 გვ.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

ფეხბურთი - ევროპა



კოვო. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. პროგრამის პირველ სახეობაში 74 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში გამარჯვება ჩემპიონატის მასპინძლებმა — იტალიელებმა მოიპოვეს — 1:28.10. საბჭოთა ველოსიპედისტებს ვერცხლის მედლები ხვდათ. გამარჯვებულს ისინი 1 წუთითა და 29 წამით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე ჰოლანდიის გუნდი გავიდა.

პარიზი. გრძელდება ველოსიპედისტ ქალთა შეჯიბრება — „ტურ დე ფრანსი“. მეოთხე ეტაპი გფრ-ის წარმომადგენელმა იუტა ნიჰაუსმა მოიგო. 51 კილომეტრი მან 1:13,4-ში გაიარა. საერთო ლიდერობას მესამე ეტაპზე გამარჯვებული რობერტა ბონანომი (იტალია) ინარჩუნებს. ხაბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი კუიბიშეველ ნადეჟდა კიბარდინას აქვს — მეათე ადგილი. იგი ლიდერს 2 წუთით და 5 წამით ჩამორჩება.

პრაღა. ტრადიციული საერთაშორისო ველორბოლა „ბოჰემია“ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წევრმა ვლაცლავ ტომანმა მოიგო. ექვსეტაპიანი დისტანციის (734 კგ) გავლას მან 18:29.26 მოანდომა. უძლიერესთა ექვსეულში მხოლოდ ჩეხოსლავაკიელი ველოსიპედისტები მოხვდნენ, არა და რბოლაში გდრ-ის, ჰოლანდიის, გფრ-ს, სსრ კავშირის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ველოსიპედისტებიც მონაწილეობდნენ. ცელინოგრადელმა ვლადიმერ შევჩენკომ საერთო მეცხრე ადგილი დაიკავა.

მინსკი. ჩატარდა პირველი საკავშირო ჩემპიონატი ძიუდოში ქალთა შორის. გამარჯვება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ოლგა კრუტოლევიჩმა (მინსკი), ტატიანა გავრილოვამ (ლვოვი), გალინა ჟიდკოვამ (ძერჟინსკი), ნატალია გულევატოვამ (ნოვოსიბირსკი), ელენე ელიზაროვამ (მოსკოვი), ირინა ბარტოშევიჩმა (ვილნიუსი), ირინა ემელიანოვამ (მინსკი) და ელენე გუშჩინამ (ლენინგრადი).

ბევრი ნაკლი გამოამზეურდა

დამთავრდა მძლეოსნობაში საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშების პირველი ეტაპი. რა გვიჩვენა შეჯიბრებამ

1 ივლისს დასრულდა საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშების წინასწარი შეჯიბრებები მძლეოსნობაში. დადგა პირველი შედეგების შეჯამების დრო, რაც ჩვენი და, ალბათ, მძლეოსნობის მოყვარულთა აზრით, ძალზე სასიამოვნო საქმეა და აი, რატომ. ვინც თვალს ადევნებდა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე (ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრების დაწყებამდე და შესვენებისას) გამართულ მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრებებს, შეამჩნევდა, რომ ბავშვების უმეტესობა სახელდახელოდ შეეკრიბათ, მძლეოსნობა „დაებრალებინათ“ და მხოლოდ იმ მიზნით გამოეყვანათ სარბიელზე, რომ გადარჩენოდნენ კითხვას: „თქვენმა რაიონმა რატომ არ მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში?“

ერთ-ერთი გარბენის დროს, „მოსეირნე“ ყმაწვილი სპრინტერების შემხედვარე ერთმა მაყურებელმა ჩაილაპარაკა, რა საჭირო იყო ასეთი მოუმზადებელი გოგონებისა და ჭაბუკების მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოყვანა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორები, ისინი, ვისაც ამ შეჯიბრების ჩატარების იდეა დაებადათ, სწორად მოიქცნენ. ნიჭიერი მორბენლების, მხტომელებისა და მტყორცნელების გუნდ-გუნდად გამოჩენას, ცხადია, ისინი არ ელოდნენ. მათი აზრით, ტელევიზიის პრიზის გათამაშება გამოაცოცხლებს რაიონებს, ხელს შეუწყობს პერსპექტიული მოზარდების გამოვლენას, წახალისებს უნარიან. მუშაკებს და ა. შ. მაგრამ ასეთ ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ რესპუბლიკური შეჯიბრების მაორგანიზებელი ფუნქციაც — საბაკარაზე გამოიყვანოს ის „სპეციალისტები“, რომლებიც თავს არ იწუხებენ მძლეოსნობის განვითარებისათვის, ის რეგიონები, სადაც „სპორტის დედოფლად“ წოდებულ ამ სახეობას კონკიასავით ზედაც არავინ უყურებს.

ერთი სიტყვით, მოზარდ მძლეოსანთა სტარტებმა ბევრი ნაკლი გამოამზეურა და თავისი დანიშნულება გაამართლა. შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის არბიტრს ვალერი ვამაკიძეს ვთხოვეთ დაწვრილებით მოეთხრო წინასწარი შეჯიბრებების ავკარგზე.

— საქართველოს ტელევიზიის, პრიზის გათამაშებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ რესპუბლიკის 64 რაიონის წარმომადგენლებს, თბილისის „დინამოს“ სტადიონის მძლეოსნურ სექტორში კი მხოლოდ 57 რაიონის წარგზავნილებმა იასპარეზეს.

შეჯიბრებას თავი აარიდეს ბოლნისის, ტყვარჩელის, ლუშეთის, თეთრწყაროს, გაგრის, ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონებმა. 22-მა რაიონმა ვერ შეძლო სრული — 5 გოგონასა და 5 ჭაბუკისაგან დაკომპლექტებული გუნდის გამოყვანა. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდნენ ქალაქ რუსთავის, თბილისის კალინინის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის, ლენინის, საბურთალოს, გლდანისა და პირველი მაისის რაიონების გუნდები. გუნდების დაუკომპლექტებლობის გამო ზოგიერთ სახეობაში მონაწილეთა რაოდენობა 2-5 კაცს არ აღემატებოდა. 11 ივნისს, ძაგალითად, **სიგრძეზე ხტომაში მხოლოდ ორმა გოგონამ იასპარეზა, 14 ივნისს კი ბირთვის მკვრელ და 1000 მეტრზე მორბენალ გოგონათა კონკურსში შესაბამისად 3 და 4 გოგონა გამოვიდა.** იმ რაიონებისა და ქალაქების ჩამოთვლა, რომელთაც ამა თუ იმ დისციპლინაში გამართულ შეჯიბრებაში წარმომადგენელი ვერ გამოიყვანეს, დიდ დროს წაგვართმევდა, ამიტომ დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: **მოყლე მანძილზე რბენაში არ უასპარეზიათ საგარეჯოელ და ბოგდანოვკელ გოგონებს, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენელ ჭაბუკებს; სიგრძეზე ხტომაში — მცხეთელ, საგარეჯოელ, თიანეთელ, გალელ, ვანელ, წალკელ, ჩოხატაურელ, თბილისელ (კალინინის, ორჯონიკიძის, ლენინის, საბურთალოს რაიონების) გოგონებს, მცხეთელ, ლენინგორელ, ორჯონიკიძელ, თბილისის გლდანისა და პირველი მაისის რაიონების წარმომადგენელ ჭაბუკებს.** კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლებოდა. წინასწარ შეჯიბრებაში **სულ უნდა გამოსულიყო 768 გოგონა და ვაჟი, მაგრამ 21,8% ანუ 89 გოგონა და 75 ჭაბუკი შეჯიბრებაზე არ გამოცხადებულა.** მოასპარეზეთა სიმცირემ, რა თქმა უნდა, კონკურენციის ხარისხზეც იმოქმედა. რაც შეეხება საათანრიგო ნორმატივების შესრულებას, უკეთესი სურათის მოწმენი აც აქა ვართ: **პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა 1 სპორტსმენმა, მეორე თანრიგისა — 44-მა, მესამისა — 154-მა;** ჭაბუკთა მეორე და მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა შესაბამისად 125 და 123 ქალიშვილმა და ჭაბუკმა. **157 მოასპარეზე ანუ მონაწილეთა 26% „უთანრიგოდ დარჩა.“** ტექნიკურ შედეგებზე სახეობების მიხედვით თუ ვილაპარაკებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე უკეთ მოკლე მანძილზე მორბენლები გამოვიდნენ. **ძალზე დაბალი შედეგები აჩვენეს 1000 მეტრზე მორბენალმა, სიგრძეზე მხტომელმა და ბირთვის მკვრელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. ამ სახეობაში ვერც ერთმა გოგონამ ვერ შეასრულა პირველი და მეორე თანრიგის ნორმატივები, ჭაბუკთაგან კი მხოლოდ თითო-ოროლამ შეძლო მეორე თანრიგის ნორმატივის შესრულება.** სხვათა შორის, რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც ასე ხდება, ასე რომ, შეგვიძლია დავასკვნათ: **მწვრთნელები და ფიზკულტურის მასწავლებლები საქმეს იიოლებენ,** ყურადღებას უთმობენ მხოლოდ სპრინტერულ დისტანციებზე რბენას, სხვა სახეობაში კი, **სადაც წარმატების მისაღწევად სისტემატური შრომაა საჭირო, ბავშვებს არ ამეცადინებენ.** ტექნიკური შედეგების ანალიზმა და დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოასპარეზეთა უმეტესობა ფიზიკურად და ტექნიკურად სუსტად იყო მომზადებული. ყმაწვილებს უჭირდათ ტერფსაბჯენებია დაყენება, ზოგიერთმა არც იცოდა მათი გამოყენება: **არ იცოდნენ სტარტზე დგომა, უხეიროდ ილებდნენ სტარტს, ენერგიას**



ვერ ანაწილებდნენ დისტანციაზე, მალე იღლებოდნენ და სიარულზე გადადიოდნენ, ეროდათ ბილიკები და ა. შ. სიგრძეზე მხტომელებს გაუჭირდათ ნახტომის დაფიქსირება, ხტებოდნენ პრიმიტიული ხერხით; ბირთვის მკვრელთა უმეტესობა ვერ ერკვეოდა ამ სახეობის ტექნიკაში, აროვევდა შეჯიბრების წესებს. მათ მიერ შესრულებული მოძრაობა ბირთვის გდება უფრო იყო, ვიდრე ბირთვის კვრა. იბადება კითხვა: ნუთუ ასე ძნელია მეტ-ნაკლებად ნიჭიერი ბავშვების მოძიება, მომზადება და შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში თუნდაც თითო მოასპარეზის გამოყვანა? **მაშ რატომაა გახსნილი რესპუბლიკის ყველა რაიონში მძლეოსნობის სპორტული სექციები და ჯგუფები? რას აკეთებენ აქ მომუშავე მწვრთნელები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები?** მძლეოსნობის ანბანს, მე ხაზს ვუსვამ, ანბანს, ესე იგი ელემენტარულ ტექნიკურ ილეთებს და არა ჩამოყალიბებულ ჩვევებს, ბავშვები სკოლაში უნდა ეუფლებოდნენ, **მოსწავლეთა მძლეოსნობაში გათვითცნობიერება და მათი ტექნიკური მომზადება ხომ სასკოლო ფიზაღზრდის პროგრამაშია შეტანილი.** მწვრთნელებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლების ეს **გულგრილობა და უპასუხისმგებლობა, ცხადია, რაიონული განათლების განყოფილებებისა და სპორტკომიტეტების უყურადღებობით აიხსნება,** მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ბავშვებთან ძოლუმავე ფიზკულტურის სპეციალისტებს ვერ ეუფლებიათ, რომ ადრეულ ასაკში მძლეოსნური ჩვევების გამომუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ასაკში საფუძველი ეყრება ადამიანის ჯანმრთელობას, მის ასე ვთქვათ, პიოდ ფიზიკურ კულტურას. მძლეოსნობაში გავარჯიშებული ბავშვი კი სპორტს ადვილად შეიყვარებს და იმ სახეობაშიც, რომელშიც ვარჯიშს შეუდგება, უფრო მალე მიაღწევს წარმატებას. მდგომარეობის გამოსასწორებლად აქედანვე უნდა იზრუნონ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ, სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ, თბილისის სპორტკომიტეტმა, მაგრამ, ვიმეოროებ, მთავარია **ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებმა გარდაქმნან მუშაობის სტილი. მძლეოსნობის ყველა სპეციალისტს უნდა ახსოვდეს ის, რომ IX საკავშირო სპარტაკიადაზე 118 მძლეოსნის გამოყვანის უფლება გვქონდა, ჩვენ კი 38-ს ძლივს მოვუყარეთ თავი.**

დასასრულ, მძლეოსნობის სპეციალისტებია და ფიზკულტურის მუშაკები ვაცნობებ, რომ **საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება განახლდება 2 სექტემბრიდან.** გაიმართება მეოთხედფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 1970-73 წლებში დაბადებული ჭაბუკები და გოგონები. დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები შეჯიბრების ჩატარების თარიღს შეიტყობენ ტელევიზიით, შეჯიბრების განრიგი და მონაწილეთა სია კი „ლელოში“ გამოქვეყნდება.

პროფკავშირი: ფიზკულტურა და სპორტი

რუსთავში, 21-ე მიკრორაიონის სპორტულ მოედნებზე ყოველ შაბათ-კვირას საინტერესო შეჯიბრებები იმართება სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ამას წინათ პროფკავშირებია ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული სახოგადოების საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე ი. ბურჭულაძე) უბნებს შორის სპორტული შეჯიბრებები მოაწყო. საასპაროზედ შეიკრიბნენ სახალხო განათლების დღეებში ქალაქში დარჩენილი ბავშვები.

ისინი ერთმანეთს მინიფეხბურთში, კალათბურთში, სიმძიმეების აწევასა და კვგლიში შეეჯიბრნენ.

რუსთაველი სორჩები საინტერესოდ და შინაარსიანად ატარებენ ზაფხულის აოდადეგებს.

რაულენ გაბრიელიძე.

ავტორის ფოტოები.



„შრომითი რეზერვების“ კოლექტივებში

პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ამიერკავკასიის სპარტაკიადა

თბილისის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებელი 10 წელია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებზე, მასობრივ-გამოჯანსაღებელ მუშაობაში მიღწეული მაჩვენებლებია. ეროვნის უთობის პროფესიულობის, ... სასწავლებლის საპატივცემულოში ... ძალიან ... „მზე“ საპატიო ... ...

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XVII ტურის მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

თამაში დამთავრდა ფრედ —2:2.

გთავაზობთ სსრ კავშირის 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ 2:1 (0:0). ახგაზრდა დინამოელმა დობროვოლსკიმ, სპარტაკთან გოლი შერიხბეკოვმა გაიტანა. 75-ე წუთზე კი ტორპედოელმა ჩუგუნოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

დუბლიორები — 0:2.

„დნეპრი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). გოლი: პროტასოვი (88-ე წუთი).

გაფრთხილეს ოთხი ფეხბურთელი: დნეპროპეტროვსკელები სოროკალეტი და ლიუტი, აგრეთვე, კიეველები ხაკოვენკო და გოროლი.

დუბლიორები — 4:1.

„მეტალისტი“ — ცსკა 2:1 (2:1). გოლები: იაკუბოვსკი, დერკაჩი („მეტალისტი“), ტატარჩუკი (ცსკა).

დუბლიორები — 2:1.

„არარატი“ — „ქაირათი“ 3:2 (2:2). გოლები: ვეროანიანი, გალუსტიანი, აიგაზიანი („არარატი“), ფეხლევანიდი, იაროვენკო („ქაირათი“).

დუბლიორები — 4:2.

„ნეფტჩი“ — „ზენიტი“ 2:1 (2:1). გოლები: სულეიმანოვი, პონომარიოვი („ნეფტჩი“), სტეპანოვი („ზენიტი“).

გაფრთხილეს ბაქოელი ფეხბურთელი მირზოევი.

დუბლიორები — 4:0.

„სპარტაკი“ — „შახტიორი“ 3:2 (2:0). გოლები: მოსტოვოი, ხიდიატულინი, როდიონოვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ — ვ. მიმინოშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), თ. ლაცაბიძე (თბილისი).

დუბლიორები — 3:0.

● **განვლილი** ტური ყველაზე შედეგიანი იყო მიმდინარე ჩემპიონატში: 7 მატჩში გატანილი იქნა 22 ბურთი.

● **XVI ტურის** ყველა მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა.

● **გოგბარდირთა** დავაში კვლავ ადგებურად წინაა „ყალგირისის“ თავდამსხმელი ა. ნარბეკოვისი, რომელმაც 10 ბურთი გაიტანა. 8-8 გოლია დნეპროპეტროვსკელი ო. პოოტასოვისა და სპარტაკელი ფ. ჩერენკოვის ანგარიშზე. საუკეთესო ბომბარდირთა რიგებს შეუერთდა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი რ. შეხველია. მის ანგარიშზე ახლა 6 გატანილი ბურთია.

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრმა“ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე ჩემპიონატში.

● **აღსანიშნავია,** რომ უმაღლესი ლიგის გუნდებში კარგ თამაშს კვლავ ვეტერანები აძლევენ ტონს. თბილისის „დინამოს“ ფორვარდი რამაზ შეხველია საბრძოლო ფორმაში შეეყარა, რაც უმალ დაეტყო ჩვენი გუნდის თამაშს. მოსკოვის „სპარტაკში“ ძლიერად გამოდიან ვეტერანები რ. დასაევი, ფ. ხიდიატულინი, აგრეთვე, ფ. ჩერენკოვი, ხარკოვის „მეტალისტის“ ხელანდელი წარმატებები დიდად დაკავშირებულია გამოცდილი ნაკვეთრმცველის ლ. ბურიაკის საბრძოლო ფორმაზე.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

დგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	17	13	1	3	47-18	27
„დნეპრი“	16	10	3	3	29-13	23
„ყალგირისი“	16	6	9	1	23-10	21
„ქაირათი“	16	7	4	5	27-25	18
„არარატი“	15	6	6	3	15-11	18
„დინამო“ მ.	16	6	5	5	28-19	17
„ნეფტჩი“	16	6	5	5	16-22	17
„ზენიტი“	13	7	2	4	27-21	16
[illegible]	17	7	2	8	25-31	16
[illegible]	17	4	7	6	12-13	15
[illegible]	17	4	[illegible]	8	22-36	12
[illegible]	14	[illegible]	2	7	15-18	12
[illegible]	18	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გთავაზობთ ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრის მთლიან შედეგებს:

ჩემპიონთა თასი

1/16 ფინალი, პირველი წრე

„დინამო“ (კიევი, სსრკ) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია).
„აარჰუსი“ (დანია) — „ქენესი“ (ეშმ, ლუქსემბურგი).
„ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) — „სრედეცი“ (სოფია, ბულგარეთი).
„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „პარტიზანი“ (ტირანა, ალბანეთი).
„ბორდო“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ).
„ფრამი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია).
„ლილესტრომი“ (სოფეგნა) — „ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია).
„მალმიო“ (შვეცია) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია).
„ქსამაქსი“ (ნეიეატლი, შვეიცარია) — „კუუსიუსი“ (ლაჰტი, ფინეთი).
„ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — „გურნიკი“ (ხაბეკ, პოლონეთი).
„პორტუ“ (პორტუგალია) — „ვარდარი“ (სკოპლე, იუგოსლავია).
„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „გალათასაარაი“ (სტამბული, თურქეთი).
„რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — „ჰამრუმ სპარტანსი“ (მალტა).
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ხაპოლი“ (იტალია).
„შემროკ როვერსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „ომონია“ (ნიკოზია, კიპროსი).
„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

თასების თასი

1/16 ფინალი, პირველი წრე

„ლიმასოლი“ (კიპროსი) — „დუნაისკა“ (ჩეხოსლოვაკია). წინასწარი წრე.
„დინამო“ (მინსკი, სსრკ) — „გენჩლერბირლიგი“ (გენჩერი, თურქეთი).
„ოლბორგი“ (დანია) — „პაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია).
„აკრანესი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „კალმარი“ (შვეცია).
„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „დანდალკი“ (ირლანდია).
„უიპეშტ დოჯა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ჰაგა“ (ჰოლანდია).
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „მეხელენი“ (ბელგია).
„ავენირი“ (ბეგეხი, ლუქსემბურგი) — „ჰამბურგი“ (გფრ).
„ლიმასოლი“—„დუნაისკა“-ს წყვილში გამარჯვებული — „იანგ ბოიზი“ (ბერნი, შვეიცარია).
„ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) — „მარსელი“ (საფრანგეთი).
„მერბირ ტიუდფილი“ (უელსი) — „ატალანტა“ (ბერგამო, იტალია).
„რეალ-სოსიედადი“ (სან სებასტიანი, ესპანეთი) — „შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი).
„როვანიენი“ (ფინეთი) — „გლენტორანი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია).
„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „[illegible]“ ([illegible], ავსტრია).
„სენტ-მირენი“ (შოტლანდია) — „ტრომს[illegible]“ ([illegible]).
„ვლაზინი შკოდრა“ (ალბანეთი) — „შლიონ[illegible]“ ([illegible]).
„ვიტოშა“ (სოფია, ბულგარეთი) — „ოფი“ (კრეტა, საბერძნეთი).

უეფა-ს თასი

1/32 ფინალი, პირველი წრე

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ).
„ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) — „დინამო“ (თბილისი, სსრკ).
„ზენიტი“ (ლენინგრადი, სსრკ) — „ბრიუგე“ (ბელგია).
„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „დინამო“ (მოსკოვი, სსრკ).
„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია).
„ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) — „ადმირა-ვაკერი“ (ვენა, ავსტრია).
„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ).
„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბელენენსეში“ (ლისაბონი, პორტუგალია).
„ბეშიქთაში“ (სტამბული, თურქეთი) — „ინტერი“ (მილანი, იტალია).
„ბეგერენი“ (ბელგია) — „ბოჰემიანსი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია).
„ბრონდბიუ“ (დანია) — „გეტებორგი“ (შვეცია).
„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „კოლერინი“ (ჩრ. ირლანდია).
„ბორუსია“ (მიოსჰენგლადბახი, გფრ) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა, ესპანეთი).
„ფეიეზოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „სპორა“ (ლუქსემბურგი, ლუქსემბურგი).
„ფლორა“ (ალბანეთი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია).
„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ).
„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლოკერენი“ (ბელგია).
„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — „ვალეტა“ (მალტა).
„ლარნაკა“ (კიპროსი) — „ვიქტორია“ (ბუქარესტი, რუმინეთი).
„მონდალენი“ (ნორვეგია) — „ვერდერი“ (ბრემენი, გფრ).
„ტულუზა“ (საფრანგეთი) — „პანიონიოსი“ (ათენი, საბერძნეთი).
„პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) — „ოსერი“ (საფრანგეთი).
„პოგონი“ (შჩეცინი, პოლონეთი) — „ვერონა“ (იტალია).
„სპორტული“ (რუმინეთი) — „გკს (კატოვიცე, პოლონეთი).
„ხიხონი“ (ესპანეთი) — „მილანი“ (იტალია).
„თრაკია“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია).
„ლინცერი“ (ლინცი, ავსტრია) — „უტრეხტი“ (ჰოლანდია).
„უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) — „შაგეშე“ (პორტუგალია).
„ველეჟი“ (მოსტარი, იუგოსლავია) — „სიონი“ (შვეიცარია).
„ტატაბანია“ (უნგრეთი) — „გიმარაეში“ (პორტუგალია).
„ვიტკოვიცე“ (ჩეხოსლოვაკია) — „აიკ (სტოკჰოლმი, შვეცია).
„ვისმუტი“ (აუე, გდრ) — „ვალიური“ (რეიკიავიკი, ისლანდია).

ჩვენი მეტოქე

თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში სოფიის „ლოკომოტივი“ არასოდეს მეგეკუთვნებოდა ბულგარული ფეხბურთის ელიტას. ბულგარეთში პრივილეგირებული მდგომარეობა უკავიათ დედაქალაქის სხვა კლუბებს — „სრედეცსა“ (ყოფილი ცსკა „სუპტემვრიისკო ზნამე“) და „ვიტოშას“ (ყოფილი „ლევსკი—სპარტაკი“). მიუხედავად ამისა, „ლოკომოტივი“ თავის სამშობლოში მყარი ავტორიტეტია და საკმაო პოპულარობით სარგებლობს. სოფიელი რკინიგზელებისთვის არც ბულგარეთის ჩემპიონატებში ან თასის გათამაშებებ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] „ლოკომოტივი“, რომელ[illegible] [illegible] [illegible] [

საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში ● II ტური

შეჯიბრება იმედს ამართლებს

ჩვენს წყალბურთელებს სპორტსმენთა შენარჩუნება მუდამ უჭირდათ, ჭაბუკი სკოლის დამთავრებამ შემდეგ თუ რესპუბლიკის უპირველეს გუნდში, თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში ვერ მოხვდებოდა, „უზს სამუდამოდ ეთხოვებოდა. ვერც გაამტყუნებდით, რადგან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არსებობდა კოლექტივი, სადაც ოსტატობის დახვეწა შეეძლო „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად. სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთათვის ასეთი იშვიათი გამონაკლისი გახლდათ I ლიგის გუნდი, რომელიც სხვადასხვა წლებში საკავშირო პირველობაში მონაწილეობდა. დღეს ასეთი გუნდი თბილისის არმიის სპორტული კლუბის კოლექტივია, მაგრამ ეს გუნდი ყველას ხომ ვერ დაიტევს? რა ქნან პერსპექტიულმა წყალბურთელებმა? რესპუბლიკის ჩემპიონობისთვის და თასისთვის მებრძოლთა გუნდები გაძლიერონო, იტყვით, მაგრამ ამ ასპარეზობებში მონაწილეობით კარგი წყალბურთელის გაზრდა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ან თითქმის შეუძლებელი, რადგან ჩემპიონატი და თასის გათამაშებაც წელიწადში ერთხელ ტარდება და რამდენიმე დღეში მთავრდება.

ჩვენდა სასიხარულოდ, მდგომარეობა იცვლება. როგორც იცით, წლევანდელი ჩემპიონატი ტურებად მიმდინარეობს. შეჯიბრება სხვადასხვა ქალაქში იმართება და მონაწილეებს უფრო ბევრი მატჩის ჩატარება უწევთ. ჩემპიონატის ასეთი წესით გამართვა, ჩვენი აზრით, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და წყალბურთელებს ოსტატობის ზრდაშიც უფრო ეხმარება.

პერსპექტიული წყალბურთელების შენარჩუნებაზე ყველაზე მეტად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის უნივერსიტეტი ზრუნავს. თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის და I ლიგის ბინადარ ასკ-ს ბევრი წყალბურთელი ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. აქვე სწავლობენ სხვა გუნდების წევრებიც. ასე რომ, ორივე უმაღლეს სასწავლებელს კარგი გუნდი ჰყავს, თუმცა რესპუბლიკის მოწინავე გუნდების წევრები საქართველოს ჩემპიონატში თავიანთი სასწავლებლების ღირსების დაცვას ვერ ახერხებენ, რადგან ისინი ან საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობენ ან ამ ასპარეზობისთვის სამზადისით არიან დაკავებულნი. ამ მხრივ გამონაკლისი გახლდათ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გამართული რესპუბლიკის ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები, რომელთა შედეგები ჩვენი მკითხველებისთვის უკვე ცნობილია.

ამ პერიოდში თბილისის „დინამოს“ ოსტატმა წყალბურთელებმა და ასკ-ს წარმომადგენლებმა, რომლებსაც საკავშირო პირველობებზე არდადეგები ჰქონდათ, გადაწყვიტეს, თავიანთ უმაღლეს სასწავლებლებს რესპუბლიკის ჩემპიონატში დახმარებოდნენ. უნივერსიტეტელთა ღირსება დაიცვეს დინამოელებმა ტუკვაძემ, უმცროსმა გიორგაძემ, ზუმბულიძემ, მაჭავარიანმა, გობეჯიშვილმა, ჩოლარიამ და გუნდის ყოფილმა კაპიტანმა რურუამ, რომელიც თავის გუნდს წლეულს გამოეთხოვა. უნივერსიტეტელთა რიგებში ვიხილეთ არმიელები ქათამაშვილი და ლიპარტელიანი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში იყვნენ დინამოელები რამიშვილი და ქართველიშვილი, არმიელები ცოტაძე, კელაურიძე და გორგაძე.

ოსტატთა გამოსვლამ რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩებისადმი ინტერესი ერთი-ორად გაზარდა. ყველაზე საინტერესო, ბუნებრივია, იყო უნივერსიტეტისა და სპი-ს შეხვედრა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მეორე ტური 6 ქულით, უნივერსიტეტელებმა კი 3 ქულით დაიწყეს. II ტურში ამ გუნდების შეხვედრამდე უნივერსიტეტელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს, სამივე კონკურსში მონაწილე გუნდებთან, მომავალმა ინჟინრებმა კი ორი ასეთი გუნდი დაამარცხეს და კონკურსგარეშე მონაწილე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან წააგეს. ასე რომ, ერთმა გუნდმაც და მეორემაც, ვიდრე ერთმანეთს შეხვდებოდნენ, თბილისის ტურში ქულათა მაქსიმუმი აიღო, მაგრამ პოლიტექნიკოსები I ტურში მიღწეული უკეთესი შედეგის წყალობით 2 ქულით წინ იყვნენ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა, რადგან მეტოქეთა ნაკრები, შემადგენლობის მხრივ, მთელი თავით მაღლა იდგა. სასწაული არ მომხდარა და უნივერსიტეტელებმა გაიმარჯვეს. ორივე გუნდმა 8-8 ქულა მოაგროვა.

I ტური, კონკურსში გამოსული გუნდებიდან, უნივერსიტეტელთა გარდა, 3-3 ქულით დაამთავრეს სოხუმის „დინამომ“, რუსთავის „ფოლადმა“ და ბათუმის „დინამომ“. II ტურში რუსთაველებმაც და ბათუმელებმაც ყველა შეხვედრა წააგეს. რაც შეეხება სოხუმელებს, რომლებმაც I ტურში სრულიად მოულოდნელად უნივერსიტეტელები დაამარცხეს და ამის გამო დიდი მოწონება დაიმსახურეს, ისინი თბილისში საასპარეზოდ არ ჩამოსულან. მიუხედავად ამისა, მათ ოთხეულში დაიმკვიდრეს ადგილი და პირველობისთვის ბრძოლის უფლება შეინარჩუნეს. ჩემპიონობისთვის იბრძოლებს ქუთაისის „ქიმიკოსიც“, რომელმაც 5 ქულა დააგროვა. გადამწყვეტი შეხვედრები სექტემბერში გაიმართება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატმა თავისი დანიშნულება გაამართლა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სარბიელზე რესპუბლიკის ლამის ყველა უძლიერესი წყალბურთელი ვიხილეთ, მეორეც: I ტურში კონკურსგარეშე გამოსულ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს ამ შეჯიბრებამ ხელი შეუწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის სამზადისში. ყველაფერი ეს, დაგვეთანხმებით, პატარა საქმე არ გახლავთ.

ამ ჩემპიონატში ძალა მოსინჯა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოსულმა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმაც, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება.

ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: ჩემპიონატი იმედს ამართლებს.

ავთანდილ გურასაშვილი.

ფილმის „ტურნეი“ ეროვნული ფიზიკურობა

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ რეჟისორმა ალექსანდრე ეღენტმა გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“. ამ ფილმის პრემიერამ კინემატოგრაფისტთა სახლში დიდი წარმატებით ჩაიარა. სურათმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და დიდი გამოხმაურებაც ჰპოვა.

რესპუბლიკის ეკრანებზე გამოსვლამდე ფილმი უჩვენეს ფოთელებსა და ლანჩხუთელებს, იმ რაიონების მკვიდრთ, ვისზეც ფილმშია ლაპარაკი. ფოთი ხომ ქართული ფეხბურთის აკვნად ითვლება, ლანჩხუთი კი ეროვნული ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერილი ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

ფილმის შემოქმედებითი კოლექტივის წევრები შეხვდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. მასპინძელთა წინაშე წარსდგნენ რეჟისორი ალექსანდრე ეღენტი, ოპერატორი გურამ როგავა და კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ფილმისათვის შექმნილი სიმღერები ფირფიტაზე ჩაიწერა და მას მალე მიიღებენ გრამფირფიტების მაღაზიები.

„ტურნემ“, მონაწილეთა მოწმობით, წარმატებით ჩაიარა. ფილმი ყველგან მოწონებით მიიღეს, შეხვედრები მეუხარე ოვაციებით მთავრდებოდა. როცა თბილისში დაბრუნებულ ალექსანდრე ეღენტს ვკითხეთ, რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად, მან გვიპასუხა: „დასამახსოვრებელი, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იყო, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ დასავლეთში, სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეულ სახლებთან ერთად, დატბორილი ფეხბურთის მინდვრების აღდგენაზეც ზრუნავენ“...

ათ ოქტომბერს სევილიაში

მატჩები ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის სახელისთვის 1886 წლიდან იმართება. ჭადრაკის სამყაროს ამ ერთი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ უნახავს, მაგრამ ის, რაც უკანასკნელ წლებში ხდება, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, აღარასოდეს განმეორდება. უკვე მეოთხე წელიწადია, რაც გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი ერთმანეთს მატჩებში ებრძვიან მსოფლიოს ჩემპიონის სახელისთვის. ამ ორმა უდიდესმა მოჭადრაკემ ერთმანეთთან ასი პარტია ითამაშა და ერთქულიან უპირატესობას — 50,5:49,5 — მსოფლიოს ჩემპიონმა კასპაროვმა მიაღწია. მოჭადრაკეები შეეჩვიეთ იმ აზრს, რომ ისინი დღეს სხვებზე გაცილებით უკეთ თამაშობენ და მათი მატჩები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს.

ფიდე-ს რეგლამენტით, კასპაროვი და კარპოვი წლეულს შემოდგომაზე კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ მათი მეოთხე მატჩი ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართება. მატჩის გახსნა დანიშნულია 10 ოქტომბრისთვის. პირველი პარტია შედგება 12 ოქტომბერს. სულ გათამაშდება 24 პარტია. ამ შემთხვევაში, თუ მატჩი დამთავრდა ანგარიშით 12:12, მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი თავის წოდებას შეინარჩუნებს.

სევილიამ ეს უფლება შედარებით იოლად მოიპოვა. მატჩის მასპინძლობის მსურველთა სიაში იყო: სიეტლი (აშშ), აბუ-დაბი (არაბეთის გაერთიანებული საამიროები), მადრიდი, სევილია (ორივე — ესპანეთი) და სოჭი (სსრ კავშირი).

მატჩის ადგილის შერჩევისას ფიდე-ს ხელმძღვანელობა, პირველ ყოვლისა, საპრიზო ფონდს ითვალისწინებს. ამ მხრივ სევილიას კონკურენცია ვერავინ გაუწია. ქალაქის ხელმძღვანელებმა საპრიზო ფონდად სამი მილიონი შვეიცარიული ფრანკი დანიშნეს. აქედან 5 პროცენტი ფიდე-ს ეკუთვნის. გამარჯვებული მიიღებს საპრიზო ფონდის 62,5, ხოლო დამარცხებული— 32,5 პროცენტს. თუ ორთაბრძოლა დამთავრდა ანგარიშით 12:12, კასპაროვი, როგორც ვთქვით, შეინარჩუნებს წოდებას, მაგრამ, რაკი ეს მაინც არ ნიშნავს მატჩის მოგებას, ფულადი ჯილდო თანაბრად განაწილდება.

რა შეიძლება ითქვას თვით სევილიაზე? ეს ულამაზესი ქალაქი— ანდალუზიის დედაქალაქი — ცნობილია ჭადრაკის მდიდარი ტრადიციებით. ყოველი წლის ბოლოს, დეკემბრის შუა რიცხვებში, აქ ეწყობა დიდი საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 150-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს. უკანასკნელ ორ ტურნირში მეც ვითამაშე და ორივეჯერ XII ადგილი გავიყავი. სევილიის ხელისუფალნი მტკივნეულად განიცდიან, რომ ანდალუზიის პატარა ქალაქი ლინარისი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მასპინძლობს საჭადრაკო სუპერ-ტურნირებს. წელს იქ გაიმართა სუპერფინალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის კარპოვსა და სოკოლოვს შორის. ამ მატჩის დროს მეც ვიყავი ლინარისში, სადაც ნაკრები გუნდის წევრებთან მორიგი მეცადინეობები მქონდა. აქ ხშირად ვხვდებოდი ჩემს მეგობარს, ანდალუზიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს ბატონ რაფაელ სიდს. მან ჩემთან საუბარში არაერთხელ განაცხადა, რომ ქალაქ სევილიის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს იხმარს, რათა მოიპოვოს კასპაროვისა და კარპოვის მატჩის ჩატარების უფლება, მართლაც, სევილიელებმა პირველებმა წარუდგინეს განაცხადი ფიდე-ს. ყველა კონკურენტი ქალაქისთვის ცნობილი გახდა მათ მიერ შეთავაზებული საპრიზო თანხაც. სხვა ქალაქებმა ვერ შეძლეს ამ ჰონორარის გაზრდა. ფიდე-ს პრეზიდენტმა გარი კასპაროვთან და ანატოლი კარპოვთან მოლაპარაკების შემდეგ სევილიას მიანიჭა უპირატესობა.

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში შევხვდი მომავალი მატჩის ორგანიზატორებს, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიხარულს სევილიის გამარჯვების გამო. მათ თქვეს, რომ სევილია აქამდე ცნობილი იყო, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეთა აღმზრდელი, ახლა კი მან უდიდეს გამარჯვებას მიაღწია სპორტულ სარბიელზეც. მომავალი მასპინძლები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ, პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, ორი საბჭოთა მოჭადრაკე მთელ მატჩს ითამაშებს სხვა ქვეყანაში, კერძოდ, ესპანეთში, თანაც სევილიაში. ვიცნობ რა სევილიელთა სტუმართმოყვარეობას და მათს კეთილ დამოკიდებულებას საბჭოთა მოქალაქეებისადმი, წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ მასპინძლები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ მატჩის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად.

ის, რომ ესპანეთში ჭადრაკი აღმავლობის გზაზეა, არაერთხელ აღმინიშნავს. ამას ხელი შეუწყო შარშან ოლიმპიადაზე ნაკრები გუნდის კარგმა გამოსვლამ. წლევანდელი საჭადრაკო წელი ამ ქვეყნისთვის განსაკუთრებულია. არც ყოფილა და, ვფიქრობ, ძნელიც იქნება, რომელიმე ქვეყანამ შეძლოს ერთ წელიწადში იმდენი ოფიციალური საჭადრაკო ღონისძიების ჩატარება, რამდენიც წელს ჩატარდა და ტარდება ესპანეთში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სუპერფინალურ მატჩს კარპოვსა და სოკოლოვს შორის ლინარისმა უმასპინძლა. 10 ოქტომბერს იხსნება კასპაროვისა და კარპოვის მატჩი, ხოლო დეკემბრის ბოლოს პალმადე-მალიორკა უმასპინძლებს ევროპის გუნდურ პირველობას როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. აღარას ვამბობთ იმ საერთაშორისო ტურნირების სიმრავლეზე, რომლებიც ყოველ თვეში იმართება ესპანეთში (ერთ-ერთ ამ შეჯიბრებაში, რომელიც ბასკონიის ქალაქ სან-სებასტიანში მოეწყო წლეულს აპრილში, მეც მივიღე მონაწილეობა და I ადგილი დავიკავე).

ძალზე ძნელია კასპაროვ-კარპოვის მომავალ მატჩში გამარჯვებულის გამოცნობა ან მათს შანსებზე საუბარი. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მეტოქეთა სპორტულ ფორმაზე. მე მხედველობაში მაქვს როგორც თეორიული მომზადება, ისე ფიზიკური მზადყოფნა. ჭოჭნაალმდეგეები ძალიან კარგად იცნობენ ერთიმეორეს. ამიტომ ორივ მგონია გაუჭირდეთ ერთმანეთის საიდუმლო მიმართულების გამოცნობა. სადებიუტო მომზადებაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ დღევანდელ ჭადრაკში დებიუტის კარგად გათამაშება მომავალი გამარჯვების უტყუარი საწინდარია.

მოწინააღმდეგეებმა მატჩისთვის მომზადება სხვადასხვანაირად გადაწყვიტეს. კასპაროვმა უარი განაცხადა ტურნირებში თამაშზე და თავის მწვრთნელებთან ერთად უკვე პირველი ივნისიდან შეუდგა თეორიულ მზადებას. რაც შეეხება კარპოვს, ის, როგორც ვიცით, ბილბაოს საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა. ახლა კარპოვი ინტენსიური გრაფიკით შეუდგა მზადებას.

მინდა სპორტის მოყვარულებმა იცოდნენ, რომ ორივე მეტოქის მწვრთნელთა ბანაკში ქართველი მოჭადრაკეებიც იქნებიან. გარი კასპაროვმა თავისთან მიიწვია ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ხოლო ანატოლი კარპოვს დაეხმარება ასევე საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა. ელიზბარი კარპოვს ეხმარებოდა სოკოლოვთან სუპერფინალურ მატჩებშიც და, როგორც ვიცით, გარკვეული წვლილი შეიტანა კარპოვის გამარჯვებაში.

რაც შეეხება ჩემს გეგმებს, ესეც ესპანეთთან არის დაკავშირებული. წლეულს ამ ქვეყნის ნაკრებს ვამზადებ ევროპის პირველობისთვის. უკვე მარსა და აპრილში გვქონდა პირველი მეცადინეობები ლინარისსა და მალაგაში. ივნისში ჩავატარე ორკვირიანი შეკრება ტოლედოში. სექტემბერში კი ანდალუზიის ჭადრაკის ფედერაციის მიერ ოცი დღით მიწვეული ვარ სევილიაში. წლის ბოლოს ნაკრების წევრებთან უკანასკნელ მეცადინეობას ჩავატარებ და იქვე დავადგენ გუნდის შემადგენლობასაც.

თამაზ გიორგაძე,
საერთაშორისო დიდოსტატი.

„სპორტლოტო“

ბუფინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 28-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-45“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 21 (ცურვა), 24 (ხელბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

„სპორტლოტო 5 36“-დან“ 12 (ტანვარჯიში), 21 (ცურვა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 32 (ფეგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 14 ივლისი. დილის ტანვარჯიში —**9.00 (2);** მსოფლიოს ზაფხულის სტუდენტთა თამაშები — **15.25 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 14 ივლისი, ჭაბუკ კალათბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო — აშშ — **18.40;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (მინსკი). ვიდეოჩანაწერი — **22.40.**

საქართველოს რადიო. 14 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (მინსკი)— **21.00.**

სპორტულ გაზეთებზე

ფეხბურთი. საკავშირო პროფკავშირების თასი. 14 ივლისი. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“ სპი (თბილისი) — „დილა“ (გორი).** დასაწყისი 19 საათზე,

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07930